№ 109 ივნისი 3, ოთხშაბათი 1887 ივნისი 3, ოთხშაბათი № 109

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . .	10	—	6 . .	6	—
11 . .	9	50	5 . .	5	50
10 . .	8	75	4 . .	4	75
9 . .	8	—	3 . .	3	50
8 . .	7	25	2 . .	2	75
7 . .	6	50	1 . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.

ტფილისი, 2 ივნისი

ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ საურთიერთო ნდობით დაზღვევის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგს:—დაზღვევა სავალდებულოა ყველასათვის, ვისაც-კი შენობა აქვს ქალაქში, თუ ნება-ყოფლობაზეა მიგდებული. ერთსა და მეორეზედაც ბევრი რამ არის თქმული და ჩვენ ვეცდებით ორისავე მხრის დედა-საბუთი წამოვუდგინოთ ჩვენს მკითხველს.

ერთი, ჩვენის ფიქრით, ყველაზედ უკეთესი გაზეთი რუსეთისა,*) რომლისაგანაც ამოვკრიბეთ ჩვენს წერილებში მოხსენებული ცნობანი შესახებ დაზღვევის საქმისა, ამბობს, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ნება-ყოფლობით დაზღვევა მთლად ვერა სწვდება თავის უმაღლესს საგანსაო. მართალიაო, ნება-ყოფლობითს დაზღვევაზედ აგებული საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი ბევრად სჯობიან ყველა აქციონურს საზოგადოებასა მით, რომ დაზღვევის ფასი გააიეფეს და საზღაურსაც მალე და გაუჯანჯლებლად იძლევიანო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მათ მიერ მოტანილი სიკეთე ამაზედ მეტს ვერას იძლევაო.

«იმ უმაღლესს, ეხლანდელის კულტურის შესაფერს იდეას დაზღვევისას, ამბობს იგი გაზეთი: რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დაიხსნას თვითვეული ცალკე ნამეტნავად ღარიბი კაცი ცეცხლისაგან შემთხვეულ უბედურებისა და წახდომისაგან, ნება-ყოფლობითნი საზოგადოებანი არ არიან მიმწვდარნიო. აქციონერების კამპანიისამებრ ნება-ყოფლობითი საზოგადოებანი არამც თუ კარს უღებენ, არამედ ერიდებიან კიდეც წვრილთა დამზღვეველთა, ესე იგი, იმათ, ვისაც ხის შენობა აქვს და პატარ-პატარის მცირე ფასიანის სახლების პატრონები არიან. ერიდებიან იმიტომ-რომ ამათგან ცოტა გამორჩომაა და საქმე კი ბევრი. დიდი რამ არის, რომ საურთიერთო ნდობით ნება-ყოფლობითმა საზოგადოებამ დაზღვევისამ დაზღვევის ფასი კარგა საგრძნობლად ძირს დასწია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დიდი სიკეთე საურთიერთოდ დაზღვევისა მარტო შუათანა და დიდის შენობების პატრონებს ერგოთ. მზრუნველობა-კი ამ გვარის საზოგადოებისა ყველაზედ უწინარეს მიმართული უნდა იყოს მასზედ, რომ უთავდებოს და შეეწიოს უღონოს, ნაკლებ მიხვედრილს და, მაშასადამე, წინდახედულობასაც მოკლებულს კაცსაო“.

აქედამ გამოჰყავს ამ გაზეთს ის დასკვნა, რომ სავალდებულო დაზღვევა სანატრელია და ბევრად უკეთესია ნება-ყოფლობითს დაზღვევაზედ, რაკი საფუძვლად საურთიერთო ნდობა ექმნება საზოგადოებასაო. იმის დასამტკიცებლად, რომ აქ არავითარი შიში არ უნდა აფრთხობდეს კაცსა, გაზეთს მოჰყავს მოსკოვის ერობის დაზღვევის საზოგადოება, რომელსაც 67 მილიონის დაზღვეული შენობანი აქვს და 387,756 მანეთი დაზღვევის ფასი შემოსდის. თუმცა ეს საზოგადოება უფრო ცუდს გარემოებაშია, ვიდრე მოსკოვის ქალაქისა იქნება, მაგრამ მაინც, გაზეთის სიტყვით, შემოსავლიდამ ნახევარ მილლიონი სათადარიგო თავნი შეჰყარაო. შესანიშნავი ეს არის ამ საქმეში, რომ მოსკოვის ერობას ამ საქმეზედ გამგეობისათვის ეხარჯება მხოლოდ 32,960 მანათი, ესე იგი, 0,08 იმის მიხედვით, რაც დაზღვევის ფასი შემოსდის.

თუმცა სავალდებულო დაზღვევა არ არის რუსეთის ქალაქებში შემოღებული და მის გამო არა ითქმის-რა,—რა შედეგი მოჰყვა ამ სავალდებულო დაზღვევას რუსეთში, მაგრამ ევროპაში-კი ხშირია, ნამეტნავად გერმანიაში. გერმანიაში ამ სავალდებულო დაზღვევის საზოგადოებაში ცეცხლისაგან დაზღვეულთა ქონება თითქმის 30-ს მილლიარდისაა. თუმცა გერმანიის ერს დაზღვევის ფასი 45 მილლიონამდე შეაქვს წელიწადში, მაგრამ ყოველს წელიწადს 42 მილლიონი უკუ-უბრუნდებოდა ერსავე ცეცხლისაგან ზიანის საზღაურად.

ყოველივე ეს მართალიაო, ამბობენ, მომხრენი ნება-ყოფლობითის დაზღვევისანი და წინააღმდეგნი სავალდებულობისანი, მაგრამ ამის მთქმელთ ის-კი ავიწყდებათო, რომ სავალდებულო დაზღვევა ღარიბის კაცისათვის ხარჯის მომატებაა და, მაშასადამე, დამძიმება. ღარიბი კაცი უამისოდაც ძლივს უძლვებაო მრავალ გვარს გადასახადებს და გასაღებებსაო და ეს სავალდებულო დაზღვევის გადასახადიც რომ ზედ წაემატოს, ღარიბი კაცი კისერს ზევით ვეღარ აიღებს ხარჯთა სიმძიმისაგანაო. ამის პასუხად მომხრენი სავალდებულო დაზღვევისანი ამას ამბობენ, რომ, ღარიბა თუ მდიდარი, ყველანი უნდა მიეჩვივნენ იმ აზრს, რომ დაზღვევის გადასახადი საჭირო ხარჯია მისთვის, ვისაც-კი დასაზღვეველი ქონება აქვს, და ეგ ხარჯი მით უფრო ადვილად შესაწყნარებელია და ადვილად შესაფერი, რომ ღარიბსა თუ მდიდარს ერთ გვარად იფარავს და იხსნის, თუ რაიმე უბედურობა ცეცხლისაგან შეემთხვა ან თავისის, ან მეზობლის გაუფრთხილებლობითა.

აი დედა-აზრი სავალდებულო დაზღვევის მომხრეთა და წინააღმდეგთა. საბუთები რომ გაუსინჯოთ, გამოვა, რომ სავალდებულო დაზღვევის მომხრეთა ბურთი და მოედანი თვისთა მოპირდაპირეებს უნდა დაუთმონ. საბუთად სავალდებულო დაზღვევის საჭიროებისა ის მოჰყავთ, რომ ღარიბს და მცირე ფასიან შენობის პატრონს ერიდებიან დაზღვევის საზოგადოებანიო და ამიტომაც ღარიბს დამზღვეველს ღონისძიება არა აქვს დააზღვიოს თავისი ქონება და ამ სახით იმედი ჰქონდეს ხსნისა, თუ ცეცხლისაგან უბედურობა რამ შეემთხვა. ეს დიდად დიდი ნაკლულევანებაა, მაგრამ, თუ სავალდებულოდ დაზღვევის საჭიროება მარტო აქედამ წარმოსდგება და სხვა არა-რაისაგან, განა სხვა გზით არ მოევლება ამ საჭიროებას, თუ არ სავალდებულო დაზღვევის დადგინებითა?

ამისათვის საკმარისი იქმნება, რომ ქალაქის გამგეობამ თვით ჩაიგდოს საურთიერთო ნდობით დაზღვევის საქმე და თვით აწარმოვოს. რაკი საქმე კერძო კაცთა ხელში არ იქნება და თვით ქალაქის საზოგადო მართველობა გაუძღვება, მაშინ ადვილად მისაწვდენია, ადვილად მოსახერხებელია, რომ სიკეთე დაზღვევისა ყველას მსურველს ერგოს განურჩევლად, დიდის ქონების პატრონია თუ პატარისა. ამისათვის საკმაოა თვითონ წესდებაში შეტანილ იქმნას ერთი მუხლი, რომლის ძალითაც ყველას განურჩევლად ნება ეძლეოდეს დააზღვიოს თავისი ქონება. რაკი ამ საურთიერთო ნდობით დაზღვევის საქმეს ასე ადვილად ეშველება, მაშინ სავალდებულო დაზღვევის მომხრეთა თავიანთ საბუთების სათავე მოწყვეტილად უნდა ჩაეთვალოთ. ჩვენის ფიქრით, ჯერ ხანად ჩვენს ქალაქში ესეც უნდა მოხდეს და სავალდებულო დაზღვევა არ უნდა იყოს შეწყნარებული.

ხოლო ამ თეორიულად გამოყვანილს ჩვენს აზრს ერთი სავალი აქვს, რომელიც ერთს ადგილას არჩობს. იქ, საცა ცეცხლის გაჩენა ხშირია ან შენობების აგებულობის გამო, ან იმ ზნისა, რომ მამა-პაპით დარჩენილი აქვთ ცეცხლის გაუფრთხილებლად ხმარება, ან თვით შენობის მასალა ისეთია, რომ ადვილად მოსაკიდებელია და ამასთან მოუმზადებლობა, მიუხვედრელობა და ამათგან წარმომდგარი წინ-დაუხედავობა ერისა ხვალინდელს განსაცდელს მთელის თავის სიმწვავით თვალ-წინ არ უყენებს კაცსა,—იქ უბედურობის შიში დაზღვევის ფასის შიშისაგან ძლეულია და დამორჩილებული. ამიტომაც იქ უმეცრებისაგან უფრო ალალ-ბედობაზედ არის მიგდებული საქმე, ვიდრე ჭკუით გამოძიებულ ანგარიშზედ და ერი არა ჰგრძნობს დაზღვევის საჭიროებას იმოდენად, რომ არ დაეძლევინოს დაზღვევის გადასახადის სიმძიმესა და ყველაფერი ამ სიმძიმეს არ დაუქვემდებაროს. აქ რომ თვითვეული

---

*) Русскія Вѣдомости

ფელეტონი

კრეკ

(ამბავი კანადის ცხოვრებიდამ, ვერბერისა)

(შემდეგი*)

ტყე ისე ხშირი აღარ იყო; მზის სხივებით მშვენივრად განათებულს დიდს ველს მივატანეთ, რომელსაც მარტო სამის მხრითა ჰქონდა ტყე შორი ახლო.

კრეკი შეჩერდა და თითით მიჩვენა, აი იმ ბუჩქებთანა სდგას იოანათან ვილსონიო.

მე ხელი ჩამოვართვი და მადლობა ვუთხარი.

კრეკმა ისე შემომხედა, თითქო ცეცხლსა ჰყრის თვალებიდამაო:

— გიყვართ ვილსონი? მკითხა იმან.

— დიაღ.

— თეთრები ზოგნი სცრუობენ ხოლმე. თუ თქვენ ვილსონს აწყენინებთ რასმე, კრეკი მოვა თქვენთან და ქოჩორს აგაძრობთ თავიდამ.

მე შევკრთი. ეს სიტყვები ისე დაუდევრადა სთქვა, რომ ხმა არ გამოუცვლია. არ ეტყობოდა, მუქარით იყო ნათქვამი ეს სიტყვები, თუ ავგულობითა; მაგრამ უფრო იმისმა დაუდევრობამ შემაშინა. მართლა რომ ვილსონის მტერი ვყოფილიყავ, მაშინვე უნდა გავექრე შიშსა, ისე შემომხედა ინდოელმა; ხმალზე მჭრელი იყო და თოფ-იარაღზე უარესი იმისი შემოხედვა.

— კრეკ, მე თქვენ გენდობით და თქვენც უნდა მენდობოდეთ. ვილსონთან ხშირად დადიხართ?

— ჰო, ხან-და-ხან დადის კრეკი ვილსონთან.

— ქალი ხომ ისევა ჰყავს?

— თვითონ ვილსონსა ჰკითხეთ ეგა, სთქვა ინდოელმა და ისევ ტყეში შევიდა. მე შევყურებდი მიმავალს კრეკს, მანამ სჩანდა. შემდეგ ქვაზე ჩამოვჯექი და ტყეს დავუწყე ყურება; ტყეს ახლა მოლურჯო ბინდი ეპარებოდა და დამატკბობელს სუნნელოვანებასა ჰფენდა გარშემო.

ოცნება დავიწყე და ჩემს თავს ინდოელს ვადარებდი. მაგრამ ვაი სირცხვილო! მე ვიყავ მოტიკტიკე, ზრდილობით აღსავსე, ის კი პირველ-სახე, მტკიცე ხასიათისა, თითქო უზრდელი, მაგრამ დიდებული ადამიანი. ის იყო ინდოელი, მე-კი განათლებული ევროპიელი, რომელმაც ბევრი იცის, თავი მოსწონს ამით და ინდოელებს ისე ეპყრობა, როგორც პირუტყვებს, როგორც ძაღლებს. ევროპიელი კოხტად იკეთებს ყელზედ ყელსახვევს, ხელებზედ ხელთათმანებს იცვამს, დასეირნობს რბილის ეტლებით; მიხვრა-მოხვრა და ქცევა მოსახდენი აქვს და გამოდგება დიდის კაცის სტუმრად; მიირთმევს ძვირფასს საჭმელებს, ჰსვამს შამპანიის ღვინოს; სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებასა ჰმართავს და სულ არაფრად მიაჩნია მდაბიო ხალხისა და ინდოელების გაწყვეტა რომელისამე მომაკვდინებელის იარაღით. რა დიდი განსხვავებაა ჩვენსა და იმათ შუა! რა ვართ ჩვენ, ძვალ-რბილამდე გაფუჭებულნი ცრუ განათლებისაგან, ამ ბუნების შვილებთან შედარებით! სირცხვილით ცეცხლი მეკიდებოდა! წამოვდექი და ისევ გზას დავადექი.

— აქა სდგას ვილსონი, ვკითხე ერთს მაღალს კაცს, რომელსაც მზე მოჰკიდებოდა, ჭალარა შერთული წვერი ჰქონდა და სახლის წინ იჯდა.

— თქვენი მორჩილი მონა გახლავართ, ადგა და მიპასუხა იმ მაღალმა კაცმა:—თქვენ ვინა ბრძანდებით?

— ვინ უნდა მოვიდეს ოჰაიოდამ კანადაში იოანათან ვილსონის სანახავად? ვკითხე მე.

რამდენსამე წამს გაშტერებული შემომცქეროდა. მერე უცებ წამოიძახა:

— ოჰაიოდამ? მაშ თქვენ ისა ხართ, მე რომ საუკუნო ვალი დამდეთ! ოჰ, ძვირფასს სტუმარს ვახლავარ, შინ შემობრძანდით. ერთმანერთს მეგობრულად ხელი ჩამოვართვით. ვილსონს ცრემლი მოერია.

— არა, იმისთანა მეგობრობისათვის, რომელიც შენ გამიწიე, სხვა ნაირად უნდა გადაგიხადო მადლობა, მითხრა მან და ძმურად მოვეხვიეთ ერთმანერთს.

ერთს დიდს ოთახში შევედით, სადაც ყმაწვილი-ქალი იჯდა ტაბლასთან და ლობიოს არჩევდა.

— ელეონორა, დაუძახა ვილსონმა ქალს:—აი ის კაცი, მე და დედაშენი რომ სიკვდილს გადაგვარჩინა.

ქალი წამოხტა სკამიდამ და სიხარულით შემომძახა:

— მე პრანჭია ქალი არა ვარ, ტყეში გავიზარდე და ბევრი ლაპარაკი არ ვიცი. გმადლობთ, გმადლობთ სულითა და გულით.

ეს სიტყვები ახალგაზდა ქალმა მეტად ნაზისა და მშვიდობიანის ხმით წარმოსთქვა. ქალი შუა-ტანისა იყო. ეტყობოდა რომ გამბედაობა და თავმოყვარეობა საკმაოდ ჰქონდა.

— სულ დედასა ჰგავს, ვსთქვი მე. თმა მამასავით ოქროს ფერი აქვს და თვალები იის ფერი.

---

*) იხ. „ივერია“ № 108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე და ყველანი საერთოდ გადარჩენილნი იქმნან იმ უბედურობისაგან, რაიცა ქალაქისათვის ცეცხლისაგან წარმოსდგება, სავალდებულო დაზღვევა კანონად უნდა იყოს დადებული. მართალია, აქ ხარჯი ჰმატულობს, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ, რაკი საურთიერთო ნდობით იქმნება აგებული ეს საქმე, ხარჯი, რაც შესაძლოა, ცოტა იქნება და მაშასადამე, არა დიდ-საგრძნობელი და მეორე— ყველას დიდსა თუ პატარას, იმედი ექმნება, რომ თუ უბედურება შეემთხვა, ზარალისა და დაქცევისაგან დახსნილი იქმნება. ეს იმედი ღარიბისათვის უფრო სანატრელია, ვიდრე მდიდრისათვის.

ჩვენ რომ წინადა ვსთქვით,— ჩვენის ქალაქის საბჭომ საბუთები სავალდებულო, თუ ნება-ყოფლობითის დაზღვევისა მთლად არ გამოიძია და ისე გადასწყვიტა: ნება-ყოფლობითი დაზღვევა დაიდვას საფუძვლად საურთიერთო ნდობით დაზღვევისათვისაო,—სწორედ ამიტომა ვსთქვით. იმ მხრით, რა მხრითაც ჩვენ ამის ზემოდ მივაქციეთ ყურადღება სავალდებულო დაზღვევის საბუთსა, ქალაქის საბჭომ საქმეს ყური არ ათხოვა. არავითარი ცნობა ჩვენის ქალაქის გარემოებისა და ყოფა-ცხოვრებისა არ წაიმძღვარა წინ და ისე განუსჯელად და ვითარების აუწონდაუწონველად მიიღო ნება-ყოფლობითი დაზღვევა. თქმა არ უნდა, რომ დაზღვევის საქმეში ესეც წინსვლაა, მაგრამ გამოუძიებლად წინსვლასაც ხშირად სანანური შეცდომაც მოსდევს ხოლმე. ჩვენ ძალიან მოხარულნი ვიქნებით, თუ ალალ-ბედობით ჩვენის საბჭოსაგან მიღებული საფუძველი დაზღვევისა მოსახდენი და შესაფერებელი იქნება ჩვენის ქალაქის ვითარებისათვის.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად დაღისტანში გაუგზავნია კავკასიის სამხედრო საერო უწყებას ერთი მოხელე, რომელმაც უნდა შეისწავლოს იქაურ საადგილ-მამულო წეს-წყობილება. რასაკვირველია, დიდად საინტერესოა ეს საგანი და თუ ამ მოხელის გამოკვლევაც დაიბეჭდა, მეცნიერებისათვის ცოტა მაინც შემატება იქნება.

⁂ ამბობენ, რომ ანტონ ყორღანოვისა და სოფიო ტერ-მიკირტიჩიანის საქმე სასამართლო სენატს, სადაც ეხლა ეს საქმე სწარმოებს, ენკენისათთვისთვის გადაუდვიათ.

⁂ ამ იენისის პირველს ტფილისის თეატრში ცნობილის არტისტის ქალის სავინის ბენეფისში წარმოდგენილი იყო ხუთ-მოქმედებიანი შპაჟინსკის პიესა „ჩაროდეიკა“. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა და ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო. მობენეფისეს გვირგვინები მიართვეს და წარმოდგენის შემდეგ ვახშამზე მიიწვიეს. ბოლოს არტისტი ქალი დიდის ამბით და პატივის-ცემით, მუსიკით და ბენგალის ცეცხლებით გააცილეს.

⁂ სადაც წყლის მილები დააწყეს, იქ ზოგან აქამომდე ორმოებივით ჩაღრმავებული ადგილებია დარჩენილი. ავდრის შემდეგ ეს ორმოები წყლით ივსება, პირზედ ხავს იკიდებს, ყროლდება და ძალიან ავნებს ჰაერის სიწმინდეს.

⁂ ამ თიბათთვის ხუთს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნულია წევრთა კრება, რომელმაც უნდა ამოირჩიოს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, სეკრეტარი, ორი წევრი გამგეობისა და ხაზინადარი. კრება 7½ საათზე დაიწყობა. არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

⁂ ტფილისში გვეწვია რუსეთის გამოჩენილი კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი, რომელიც რამდენისამე დღის შესდეგ ბორჯომში აპირებს წასვლას.

⁂ როგორც გვატყობინებს „Новое Время“, ბაქოში განუზრახავთ დაარსონ პედაგოგიური ჟურნალი რუსულს, სომხურს და ქართულს ენაზედ. ეს ჟურნალი ორ-კვირაში ერთხელ დაიბეჭდებაო.

⁂ რკინის გზის ლიანდაგზე, ტფილისსა და ალთაღლას შუა, ერთს ვიღაცა კაცსა სძინებია, ზედ ლიანდაგზე ყოფილა გაწოლილი; მატარებელს მოუსწრია ამ კაცისათვის და თავი სულ მთლად გაუსრესია. როგორც ამბობს გაზეთი «კავკასი», აქამდე ჯერ ვერ შეუტყვიათ, თუ ვინ არის ეს კაციო.

⁂ როგორც შეუტყვია „ნოვ. ობოზრ“., სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს დანიშნოს განსაკუთრებითი გამგეობა, რომელმაც მტკვარში თევზის ჭერას თვალ-ყური უნდა ადევნოსო.

⁂ წარსულს წელს შესდგა კომისია ბ-ნი გერსევანოვის თავ-მჯდომარეობით, რომელსაც უნდა შეემუშავებინა, თუ როგორ დაესახლებინათ შავი ზღვის ნაპირები. ამ კომისიას საჭიროდ უცვნია, რომ ეს ადგილები უთუოდ რუსეთის ყაზახებით იქმნას დასახლებულიო. ვისაც-კი შეუმუშავებელი მიწები აქვს შავის-ზღვის ნაპირას, სახელმწიფომ უნდა შეისყიდოს ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ამას გარდა კერჩისა და ბათუმის შუა გემებმა უნდა ზღვის ნაპირებს ახლო იარონ და ხშირად შეიარონ ხოლმე ქალაქებში, რომ ამით ვაჭრობა წინ წავიდესო.

⁂ ვისაც სოფლის ცხოვრებისათვის ცოტადაც არის თვალ-ყური უდევნებია, თქმა არ უნდა, შენიშნავდა, რომ უმეტესად ავადმყოფნი მოუვლელობისა და უბრალო შიშის გამო უდროვოდ ეთხოვებიან წუთისოფელს, რადგანაც ხშირად როგორც ავადმყოფობაში, ისე სიკვდილის შემდეგ თითქმის სრულიად უპატრონოდ არიან დატოვებულნი. სოფელში ხშირი მოვლენაა სხვა-და-სხვა გვარი გადამდები ავადმყოფობა და ვაი იმას, ვისაც ამ გვარი „ღვთის რისხვა“ ეწვევა: მისი დაღუპვა აუცილებელია. მაგალითებრ, აი რასა გვწერენ ოზურგეთის მაზრის სოფ. ფარცხმიდგან:

„ამას წინედ სოფ. ფარცხმაში გლეხი იოსებ კილასონიძე ავად გახდა და აქაურმა ფერშალმა გამოაცხადა, რომ კილასონიძე ჭლექით არის ავადაო. საწყალს ამ მიზეზის გამო სულ ყველა ნათესავებმა ერთბაშად დაანებეს თავი: გაიყვანეს ერთ ფარღალალა ქოხში და თავზედ ერთი მოხუცებული დედა-კაცი დააყენეს, არც დედა, არც ცოლი და არც ბიძები სიახლოვეს არ მიეკარნენ. ასე თავ-მინებებული კარგად მყოფიც-კი დაჭლექდება, არამც თუ ავადმყოფი. რასაკვირველია, ავადმყოფმა თქვენი ჭირი წაიღო. მაგრამ მაშინაც თითქმის გულ-შემატკივარი მრავინ გამოსჩენია, რომ მიცვალებული მიწისათვის მიებარებინათ როგორმე. მეზობელმა კუბო მოიტანა და იმ ქოხის გარედ მიაყუდა, რომელშიაც მიცვალებული იყო, რადგან შიშით ქოხში შესვლა ვერ გაჰბედა. მეთვალყურე დედა-კაცმა ვიღაც მოხუცებულის დახმარებით მიცვალებული კუბოში ჩაასვენა და გარედ გამოიტანეს. ეკკლესია თუმცა სულ რამდენსამე ნაბიჯზედ იყო, მაინც სხვა ვინმე არმიჰკარებია მიცვალებულს. აეწიათ კუბო ვიღაც მადლიან კაცებს მაგრამ შიშით ღობეზე ველარ გადაეტანათ, ხელიდგან გავარდნოდათ, იქვე დაყირავებულიყო და კარგა ხანს გდებულიყო უპატრონოდ. იქნება ისე აყროლებულიყო ქუჩაში, თუ ბედზედ არ გაევლო ფირან პაიჭაძეს და არ ჩაეგონებინა გლეხებისათვის, რომ ცოდვაა, მიწას უნდა მიაბაროთო და არ დაემარხნათ მისის მეცადინეობით მიცვალებულიო.“

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. საქარა (შორაპნის მაზრა), 30 მაისს. თთვეზე მეტი არის, რაც საქარაში საშინელი გვალვაა. ამის გამო მეტად შეწუხებულია ხალხი. ერთს მოსახლეს ვერ იპოვით ამ სოფელში, რომელსაც ერთი ქცევა მიწა მაინცა ჰქონდეს მოხნული; მერე ისეთის ნიადაგისაა ამ ზემოხსენებულის სოფლის მიწა, რომ თუ პატარა მზემ დაანათა, როგორც ქვა, ისე გამაგრდება და აღარ იხვნის. დღე-დღეზედ ელიან საქარლები წვიმის მოსვლას, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, წვიმა არ გაჩნდა. საშინლად სწუხან აქაურები გვალვას, მაგრამ მაინც არა ეშველათ-რა; დღესაც ისეთი სიცხეებია, რომ რეომიურის საზომის სითბოსი გვიჩვენებს, შუადღიდგან მოკიდებული საღამომდე, ოც-და-სამს—ოც-და-ხუთს გრადუსს. თუმცა სოფ. საქარაში მიწის მუშაობა შეწყვეტილია ზემოხსენებულის მიზეზის გამო, მაგრამ აქაურნი მცხოვრებნი უქმად მაინც არა სხედან. რადგან სოფ. საქარას ახლო მდებარეობს სოფლები: ჯოყოევეთი და ჭიათურა, სადაც დიდ-ძალი მადნებია შავის ქვისა, ამ დღე გაბმულია ურმები, რომლითაც ჰზიდავენ ქვას და აღებულის ქირით სულს იბრუნებენ, შავს ქვას აყოლებენ გულს აქაურები, თორემ უამისოდ თქვენი მტერი იყოს, ჩვენ ვიქნებოდით. ესეც-კი უნდა გსთქვათ, რომ შავის ქვის მადანი რაღაც უკვდავების წყაროდ მიაჩნიათ საზოგადოდ ზემო-იმერეთში. და მართლაცა რაც ეს ქვა გაჩნდა ზემო-იმერეთში, გლეხებმა ფეხი წამოიდგეს, ცოტა არ იყოს წელში გამართნენ, სახლ-კარი განიახლეს, ფულიც შეიძინეს; ოჯახს მდიდრულად აცმენ და ჰხურავენ; ადგილ-მამული ბევრი შეიძინეს; ვალება ბევრი გაისტუმრეს და სხვა.

ასეთი სარგებლობა მოუტანა ხალხს ამ შავმა ქვამ. აზნაურები თუმცა ძალიან თაკილობენ ქვის ზიდვას დაბა ყვირილაში, მაგრამ გაჭირვებამ იძულებული გახადა ზოგიერთი ღარიბი აზნაურები, მიემართნათ ამ შემოსავლისათვის. ზოგიერთი გლეხი სოფ. საქარაში თავის ბატონს ჰსჯობია ყოფა-ცხოვრებით. სოფელ საქარაში მოიპოვება თითო-ოროლა იმისთანა კაცი, რომელიც ჰრყვნის მცხოვრებლებს და ათასს ბრალსა სდებს. ამას წინედ ერთმა ავმა კაცებმა გასტეხეს გამომძიებლის კამერა და წაიღეს თუ რამ იყო შიგ: საქმეები, გამომძიებლის ბეჭედი და სხვა. ავმა კაცებმა ნახევარ სოფელს გადააბრალეს კამერის გატეხვა, შესდგა ამაზე დიდი გამოძიება და ეს ნახევარი სოფელი ციმბირში იკარგებოდა. ეს საქმე გამოიძიეს რამდენჯერმე და გონებით, იპოვეს კიდეც ნამდვილი დამნაშავენი.

სიმონ საქარელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ დღეებში გაზეთებმა გვაცნობეს სხვათა შორის ერთი საყურადღებო ამბავი: ეს ერთი ის არის, რომ რუსეთის დასავლეთ მხარეს უცხოელთ ნება არა ჰქონდეთ მიწები შეიძინონ საკუთრებადა, ან აიღონ იჯარითა და ან ქარხნებისა და ფაბრიკების საქმეები გაჰნაგონ. ამ უცხოელთა შემავიწროებელს კანონს 14 მარტის კანონი ეწოდება და რუსეთში, ორიოდე გაზეთის მეტი, ყველა თანაუგრძნობს. გერმანი-

---

— თვალები დედას უგავს, მითხრა ვილსონმა.

— თქვენს მეუღლეს, როგორც მახსოვს, ჭრელი თვალები ჰქონდა.

— სხვას იქნება ასე ეჩვენებოდა. მე-კი ამას ვიტყვი, რომ როცა მიყურებდა, ასე მეგონა, წყვილი ია მიცქერის-მეთქი. ოჰ, სიყვარულის სასწაულო!!.

ელეონორამ მარტო დაგვტოვა. საღამოზე ავიდა; ვილსონმა ბუხარი დაანთო; ოთახში მკვრის სასიამოვნო სუნი დადგა. ცეცხლმა გაანათა იქაურობა. სუფთა იატაკზე მგლის ტყავი ეფინა.

ნავახშმევს ვილსონმა დაკეტა სახლი, საჯინიბო და და ბუხარს მივუსხედით.

— მალე გამოგრევიათ ქალარა, ვილსონ! ვუთხარი მე.

— ოღონდაც, რომ ადრე დავბერდი. ჩემს ელეონორას ძრიელ მოსწონდა ჩემის თმის ფერი და, როცა მოკვდა, თან გაიყოლა.

— მას აქედ, რაც მე კანადის ტყე ვნახე, ქალაქი ადგილი აღარ მიყვარს, ვსთქვი მე.

— ოჰ, მართალს ამბობთ, მიპასუხა ვილსონმა. მეც დაგეთანხმებით. ქალაქ ადგილას ცხოვრება ავადა გვხდის ხორციელადაც და სულიერადაც, სისხლს გვიშრობს...

— უფრო ყმაწვილი რომ ვიყო, ღმერთს გეფიცებით, აქ დავრჩებოდი თქვენთან.

— სცადეთ. მე-კი მგონია, რომ თქვენ ძალიან შეჩვეული ხართ ქალაქ ადგილებში ცხოვრებას, რომელიც ლოდსავით აწევს ადამიანს. აქ ვერ გასძლებდით. განმარტოებული ცხოვრება მოგწყინდებათ-კი არა, გაგაშმაგებთ.

— როგორ უნდა გამაშმაგოს?

— მე რომ უდაბურს ტყეში პირველად დავბინავდი, მახსოვს ისეთი დღეები, რომ ხშირად მგონებია გავგიჟდები-მეთქი, ჩემო ძვირფასო მეგობარო. ტყის ნადირისა არას დროს არა მშინებია, მაგრამ თვითონ ტყე ამაცახცახებდა ხოლმე. ნაძვისა და ფიჭვის უშველებელი ხეები, რომელთაც უზარმაზარის ფრთების მსგავსად გაუშლიათ ტოტები, ფოთლების შრიალი, აქა-იქ მოჩუხჩუხე ნაკადულის ხმაურობა, სხვა-და-სხვა ფრინველების ჟივილ-ხივილი და ამასთანავე საშინელი სიჩუმე თავ-ზარს დამცემდა ხოლმე; ტვინი მეყინებოდა; თმა ამებურძგნებოდა ხოლმე;ისე გავხდებოდი, თითქო მომავალში უბედურებას მექადოდა რასმე ეს საოცარი ბუნება!

— მართალია, ვილსონ, რომ ტყეში მცხოვრებს ხალხს ღმერთი უფრო სწამთ?

— ღმერთი უფრო სწამთ?! სთქვა ვილსონმა და დაფიქრდა. მე მგონია, ესენი უფრო კარგადა ჰსახვენ ღმერთსა, როცა უდიდესს სულს უწოდებენ. მე რომ ქალაქ ადგილებში ვსცხოვრებდი, სხვა-და სხვა სამეცნიერო წიგნებს ვკითხულობდი, თან-და-თან ვგრძნობდი, რომ სარწმუნოება მეკარგებოდა. აქ კი, კანადის ტყეში, არა-ერთხელ წარმომიდგენია თვალ-წინ „უდიდესის სულის“ ფრენა და მსმენია იმისი საიდუმლო ხმა. ერთის მხრით ინდოელად უნდა გახდეს კაცი.

— ინდოელად! მე შემხვდა ერთი ინდოელი, ნამდვილად კარგი კაცი უნდა იყოს. გზა იმან მაჩვენა, ტყე გამომატარა. თქვენ გიცნობთ ისა. დიდს დათვს ისე შეება მარტო დანის ამარა, თითქო ძაღლს შეებრძოლაო.

— მაშ უთუოდ ჩემი მეგობარი კრეკი ყოფილა, სთქვა ვილსონმა.

— დიაღ, აგრე სთქვა, კრეკი ვარო, მაგრამ მე მეგონა კრეკი თემის სახელია და იმის სახელიცა ყოფილა?

— დიაღ, თემსაც ასე ჰქვიან და თვითონ იმისი საკუთარი სახელიც ეს არის. კრეკს დიდს პატივსა სცემენ ყველა ამერიკელები, რადგან მტკიცე და პატიოსანის ხასიათისაა; უშიშარი, ღონიერი და გამბედავი რამ არის. კრეკის თემს თავი მოსწონს და ამაყობს, რომ მაგისთანა კაცი ჰყავს. კრეკი მტრისათვის მეხია და თავ-ზარ დამცემი.

— ჯერ ძალიან ყმაწვილი უნდა იყოს.

— ოც-და-ერთის წლისაა.

— უნდა გითხრათ, ვილსონ, რომ ძალიან მომეწონა და, ჩემი თავი რომ შევადარე იმას, მეტად საცოდავი და უძლური რამ არსება გამოვდექი. ვილსონმა ჩაიცინა.

— საშინელება რამ არის. ამასთანავე მშვიდიც არის. როცა ჩემთან დადის, ბავშვსავით მორცხვია და მოკრძალებული.

მე ვკითხე ვილსონს, სავაჭრო საზოგადოებასთან რად დააქვს კრეკს წიგნები-მეთქი და ვილსონმა მიპასუხა:

— კრეკებს აღებ-მიცემა აქვთ მაგ საზოგადოებასთან ნადირის ტყავისა. რადგან საზოგადოების შუა-კაცებისაგან ხან-და-ხან მოსტყუვდებოდნენ ხოლმე, თვითონ მოიწადინეს კრეკებმა თავის საკუთარის კაცის ყოლა და აი ამოირჩიეს პატიოსანთაგანი, მამაცი, ჭკვიანი და ყოჩაღი კაცი კრეკი და იმას ჩააბარეს თავისი საქმეები. რკინის გზის სადგურის მმართველებსაც მოეწონათ ეს კრეკი და დიდადაც ენდობიან, როგორც მეტად პატიოსანს კაცს. ეს ორი წელიწადია მაგას ანდობენ ყოველ გვარ წიგნებს და ფულებს საზოგადოებისათვის გადასაცემად. სახელმწიფო მოხელეებიც ენდობიან კრეკს და ამის ხელით ჰგზავნიან

ის გაზეთებს-კი არ მოსწონთ ეს კანონი, რადგან მომეტებული ნაწილი მამულებისა რუსეთის დასავლეთ მხარეს უფრო გერმანელებს ეკუთვნით და უფრო გერმანელების ხელშია.

ამ კანონის ძალითაო, ამბობს გაზ. „Нов. Вр.“ ვარშავის პოლიციამ სთხოვა უცხოელს ქვეშევრდომს რაუსს, რომ დირექტორის თანამდებობადა სხვა-და-სხვა ფაბრიკებისა და ქარხნების გამგებელისა სხვას გარდაეცი და თავი დაანებე რუსეთსაო. ასევე მოექცა პოლიცია შეიბლელების ქარხნების დირექტორს, ლოძის ქალაქში, ბ-ნს გერბეტტს. გერბეტტიც ამ მოკლე ხანში დაანებებს თავს რუსეთსაო.

ამაზე იკლავს თავს გერმანიის ჟურნალ-გაზეთობა და, რასაკვირველია, არავითარს სიტყვებს არა ჰზოგავს, რომ გაჰკიცხოს ასეთის კანონის მომხრე გაზეთები.

ჩვენ ძრიელ გვკიცხავენ გერმანიის გაზეთებიო, ამბობს გაზ. „Новости“, მაგრამ განა გასაკიცხნი ვართ, რომ ჩვენ გვინდა თავი დავიფაროთ უცხოელთა შემოსევისაგან და იმათის ბატონობისაგან ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში? თავად გერმანელებიც ასე იქცევიან ჩვენ წინააღმდეგ და ჩვენ რაღა დაგვრჩენია, რომ იმავე საწყაოთი არ მივუწყოთ, რა საწყაოთიც ჩვენ მოგვიწყეს.

მართალია, მარტო გერმანიას მოუტანს ზარალს ეს ახალი შემავიწროებელი კანონი უცხოელ ქვეშევრდომთა, ეს ჩვენც ვიცით, გერმანიის გაზეთებმა რომ არ გვითხრან, მაგრამ ვისი ბრალია, თვით არიან დამნაშავენიო.

თუ გერმანელებს ჰსურთ გვყიდონ თავიანთი ფარჩეულობა და სხვა გვარი საფაბრიკო საქონელი, რატომ იმავე დროს ის კი აღარ უნდათ, რომ ჩვენში მოყვანილი პური იყიდონ? თუ ისინი სდევნიან თავიანთ სახელმწიფოდამ ჩვენს ქვეშევრდომებს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს მუშებს ბევრი სამუშაო ჰქონდეთო, ჩვენ რაღათ ვეტყვით მადლობას ყველა ამისათვის?

დიალაც, რომ თუ გმტრობს ვინმე, გიბრიყვებს ვინმე, მადლობას ვერ ეტყვი და ვერ შეიყვარებ სამაგიეროდ.

ჩვენ არა გვჯერა, რომ შემავიწროებელმა ტარიფებმა, კანონებმა და ბაჟებმა სარგებლობა რამ მოუტანოს ჩვენს ქვეყანასაო, ამბობს გაზეთი. პირ-იქით, ჩვენი იდეალი, ჩვენი სურვილი ის არის, რომ თავისუფალი იყოს ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, მრეწველობა. მაგრამ რა ვქნათ? 14 მარტის კანონი გერმანიის ქცევამ გამოიწვიაო.

აი ლიბერალობა გაზეთისა! ერთი სწამს და სჯერა, მეორეს-კი ამბობს. ან ჰო უნდა, იყოს ან არა, მაგრამ ეტყობა გაზეთს ასე არ უწერია თავის დავთრებში და ისევ მოსეს ძველს მოძღვრებას მისდევს: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“. ვნახოთ ვინ მოიგებს.

* *

თუ ლიბერალობა „Новости“-სა ასეთი სახეირო და სარფა ყოფილა ქვეყნისათვის, არც „Моск. Вѣд.“-ის მსჯელობა და მიმართულება უნდა იყოს ნაკლებად სასარგებლო და მაცხონებელი.

აი საქმე რაშია: გაზეთებმა სთქვეს, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს საზოგადო ტარიფს გადახედოს და უცხოეთიდამ შემოტანილს საქონელს ბაჟი მოუმატოსო: ამაზე კვლავ შეფუცხუნდნენ, რასაკვირველია, გერმანიის გაზეთები და იქაურმა მთავრობამაც თავის მხრით ლაპარაკი დაიწყო პურზე ბაჟის მომატების გამო.

გერმანიის მთავრობასაო, ამბობს გაზ. „Моск. Вѣд.“-ი, ამ ბაჟის მომატებით უნდა ჩვენს პურს გზა შეუკრასო. მაგრამ მაგით ჩვენ არაფერი არ დაგვაკლდება საიმისო. ბევრი-ბევრი წელიწადში 40 და 60 მილლიონის პური აღარ გაიყიდოს გერმანიაში. თვით გერმანიას-კი ძალიან გაუჭირდება საქმე, რადგანაც პური დაძვირდება და ხალხი ჩივილსა და დრტვინვას დაიწყებს; საზოგადო სიძვირე ჩამოვარდება, აღებ-მიცემა შეფერხდება და მრეწველობა იზარალებსო.

გაზეთსა ჰგონია, რომ

ჩვენთვის კარგიც იქნება, თუ გერმანიაში 40—60 მილლიონის პური აღარ გაიყიდა. ეს პური მაშინ ჩვენ დაგვრჩება. ჩვენში პურის იაფობა ჩამოვარდება და ხალხისათვის კარგიაო.

ერთს ვიღაც ერმოლოვს შემდეგის შინაარსის განცხადება გაუკრავს ოდესასა და სევასტოპოლს შუა მოსიარულე გემში:

განსაკუთრებულისი და ბრძოლის მეცნიერების წინასწარ-მეტყველი ვარ. შევიტყობ ყოველს ამბავს, რაც კაცის თავზე მოსავალი ყოფილა ან წინად, ან იქმნება შემდეგში. ბევრს სარგებლობა მოუტანა ჩემმა წინასწარ-მეტყველებამა და მისნობამა. თვალითაც რომ არა ვნახო კაცი, ისეც შემიძლიან ვიმარჩიელო იმაზე და შევიტყო მისი ხასიათი. ჩემი ხელობა შემოწმებულია, მოწონებულია და კარგი ატესტატებიცა მაქვს. ბევრი მოვიდა ჩემთან, რომ გამოვეცადნე და ისინიც დარწმუნდნენ, რომ მისანი ვარ. შემიძლიან ლოთობასაც გადავაჩვიო კაცი. ი. ერმოლოვი.

წერილი საფრანგეთიდგან

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

(დასასრული*)

ოპერა კომიკის დაწვა

ძნელი სათქმელია, რა უფრო აღელვებდა პარიჟელებს. სამინისტროს კრიზისი, თუ ოპერა კომიკის დაწვა. ოპერა კომიკის დაწვამ ისეთი საზარელი მოქმედება იქონია პარიჟელებზე, რომ პირველს ხანებში ყველას პირზე ოპერა კომიკის სახელი ადგა და სხვაზე არაფერზე ჰფიქრობდა; ორი დღე დამწვარის ოპერა კომიკის მახლობლად ყოველ-გვარი მისვლა-მოსვლა შეჩერებული იყო, რადგანაც ყოველი პარიჟელი ვალდებულად რაცხდა თავის თავს ენახა საყვარელის თეატრის ცეცხლისაგან გაშავებული კედლები და ამის გამო დიდ-ძალი ხალხი აწყდებოდა პარიჟის ყოველ მხრიდგან ამ თეატრს. ხალხი სწუხდა და სწუხს ჯერ თითქმის 90 მსხვერპლს, რომლებიც თეატრში ჩანთქა, და მერე ისეთის საყვარელის თეატრის დაწვამ, როგორიც იყო პარიჟელებისათვის ოპერა კომიკი. თეატრს კიდევ ისე არა სწუხს პარიჟელი, როგორც დამწვარს ხალხსა და მართლაც მისი უმთავრესი ყურადღება იმაზე იყო მიქცეული, რომ გაეგოთ თეატრში მოგუდულთა და დამწვართა რიცხვი.

აი როგორ წაეკიდა ცეცხლი ოპერა კომიკს: 13 მაისს ოპერა კომიკი თითქმის სავსე იყო მაყურებელ საზოგადოებით. თამაშობდნენ ერთს მოქმედებიანს „შალეტს“ და „მინიონს“. „შალეტი“ გაათავეს და „მინიონს“ მიჰყვეს ხელი. ბალეტი გათავდა და სცენაზე იყვნენ ბ-ნნი ტასკინი, ბერნარდი, ქ. სიმონეტი, ფორი და სხვანი. ცეცხლი გაზიდან ფარდას მოედო; ჯერ რამდენიმე ნაპერწკალი ჩამოვარდა ფარდიდგან და შემდეგ მთელი ანთებული ფარდა დაეცა სცენაზე; ამ დროს არტისტებმაც შენიშნეს ცეცხლი და დაინახეს, რომ არეული და შეშინებული ხალხი კარებებისაკენ მიეშურებოდა: შესანიშნავია ბ-ნ ტასკინის სიმამაცე; რა დაინახა ხალხის შეშინება, ამ პატივ-საცემმა არტისტმა ფეხი წამოდგა წინ სცენაზედ და ხალხს შესძახა: ნუ ჩქარობთ, შიში დიდი არ არის! წყნარად გადით, წყნარად!

ცეცხლი გასაკვირველის სიჩქარით მოედო მთელს თეატრს; არტისტები აჩქარდნენ, რომ როგორმე თავი დაეღწიათ და ზოგიერთი მათგანი, როგორც მაგალითად ბ-ნ ტასკინი, როცა თითონ გამოასწევდა ხოლმე თეატრიდგან და თავს დაიხსნიდა, ახლა სხვების შველასა და ცეცხლისაგან გადარჩენას სცდილობდა. ორკესტრი, პარტერები, ბენუარები, ბალკონები უცბად დაიცალნენ, მაგრამ სხვა სანახავი იქნებოდა გალერეიები! წარმოუდგენელია ის შიში და თავ-ზარ დაცემა, რომელსაც იქ მყოფნი გამოსცდიდნენ ცეცხლის გაჩენას დროს. თეატრის მოსამსახურეები თავის მოვალეობას უკანასკნელს წამამდის ასრულებდნენ; გაზი თითქმის ცეცხლის გაჩენისათანავე გააქრეს, რადგანაც აფეთქებისა ეშინოდათ; სიბნელემ უფრო დაუბნია თავ-გზა ისეც დაბნეულსა და შეშინებულს ხალხს; ცეცხლის მქრობელი რაზმი მალე მოვიდა, მაგრამ გვიან-ღა იყო! თეატრს თითქმის სულ ერთიანად ჰქონდა ცეცხლი მოდებული და იმასი გადარჩენა აგრე ადვილი აღარ იყო.

ზოგიერთები, ვისაც კიბიდგან თავის შველა ვერ მოეხერხებინა, მესამე და მეოთხე სართულის ბალკონებიდგან მიწაზე ცვივოდნენ; ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ გადმოვარდნილებში ერთს არ გაჰყვებოდა სული; თეატრის გარშემო ლეიბები, ჩალა და სხვა რბილი ნივთები დააგეს, მაგრამ ამაოდ! ზევიდგან გადმოვარდნილი და ძირს დაცემული ფეხზე ვეღარა დგებოდა.

ცეხლის გაჩენისათანავე თეატრს დიდ-ძალი ხალხი მოესია და ვისაც რით შეეძლო, იმითი შველოდა: ზოგი ალით მოცულს თეატრში შედიოდა და კვამლისაგან გულ-შემოყრილი ხალხი გამოჰქონდა; ზოგი კიბეს იდგამდა და კიბით ჩამოჰყავდა ბალკონებზე უიმედოდ გაჩერებული ხალხი; ერთის სიტყვით, სუყველა მოქმედობდა, ყველას შველა განეზრახა დასაღუპავებისა; განსაკუთრებით ძალიანა სცდილობდნენ ცეცხლის მქრობელის რაზმის ჯარის-კაცნი და დიდი გამბედაობა და მხნეობაც გამოიჩინეს თუ ხალხის გაყვან-გამოყვანაში და თუ გაძლიერებულის ცეცხლის შემცირებაში.

შუა-ღამისას თეატრი სრულიად დამწვარი იყო და აღარავის გადარჩენა აღარ შეიძლებოდა.

მეორე დღეს დიდის გულ-მოდგინებით მიჰყვეს ხელი დაღუპულების ძებნას და დღემდის თითქმის 90-მდე მკვდარი იპოვნეს: ზოგი ბოლით არის დამრჩვალი, ზოგი ნახევარზე დამწვარია; ზოგისას მხოლოდ ფეხსა ჰპოულობენ, ზოგისას ხელს ხან სად და ხან სად!

ეხლაც დიდი მუშაობაა დამწვარს თეატრში და ჰგონიათ, კიდევ ვიპოვნით ცეცხლის მსხვერპლს ვისმეო. მართლაც და ვინ იცის, რამდენი კაცი სრულიად დანახშირდა, და ნაცრად იქცა.

ნაპოვნი მკვდრები მორგში *) დაასვენეს და მერე, როცა მკვდრებს პატრონები გამოუჩნდნენ, დამარხეს. დაღუპულთა დამარხვა მმართებლობამ იტვირთა. 31 მაისს ნოტრ-დამის ეკკლესიის მახლობლად, საიდგანაც უნდა გაეტანათ მკვდრები დასამარხად, იმოდენა ხალხი შეიკრიბა, რომ ტევა აღარ იყო; ეკკლესიის მახლობელი ქუჩები და ბულვარები გატენილი იყო ხალხით; მოვინდომე ეკკლესიასთან მიახლოვება, მაგრამ ხალხს ვერაფრით გავეტანე.

შუა-დღისას 22 მკვდარი გამოასვენეს (ზოგი წინად იყო დამარხული). ხალხი, მეტადრე ქალები, ქვითინებდა და გულ-ჩათუთქული აცილებდა უბედურს მსხვერპლთა უკანასკნელ ბინამდის. სხვათა შორის ამ დროს აქ იყვნენ: ორი სამსახურიდგან გამოსული მინისტრი, ბ-ნი გობლე და ბერტელო, რომელნიც სამინისტროს კრიზისის გამო დროებით ასრულებდნენ მინისტრთა მოვალეობას, დეპუტატები, სენატორები, თეატრების დირექტორები, ოპერა კომიკის ცეცხლს-გადარჩენილი არტისტები და სხვანი. გვირგვინებსა და ყვავილებს რიცხვი არა ჰქონდათ; სასაფლაოზე ბევრი სიტყვა წარმოითქვა და სხვათა შორის ბ-ნ ბერტელომ, სწავლა-განათლების მინისტრმა, ისეთი გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომ ხალხში უზომო მწუხარება და ქვითინი გამოიწვია.

თეატრის დაწვის მეორე დღესვე ჟურნალ-გაზეთობამ დაზარალებულების შემწეობაზე დაიწყო ლაპარაკი: შედგა კომიტეტები, გაიმართა დაზარალებულების სასარგებლოდ წარმოდგენები; ჟურნალებმა ხელის-მოწერა გამართეს; მარტო „Figaro“-მ ორს დღეში 40,000 ფრანკი შეკრიბა; ზოგიერთები ათას ფრანკობითა სწირავდნენ, უცხო ქვეყნებშიც დიდის თანაგრძნობით მოეკიდნენ დაზარა-

---

*) იხ. ივერია № 108.

*) მორგი ჰქვიან იმისთანა სახლს, სადაც დაასვენებენ ხოლმე ნაპოვნს მკვდრებს იმ დრომდე, ვიდრე პატრონი გამოუჩნდება ვინმე.

ყოველ გვარს საჭირო წიგნებს. გამოცდილება და ღონეც ისეთი აქვს, როგორც გამბედაობა: როცა გარეულ კამბეჩებზე მიდის ხოლმე სანადიროდ მარტო დანა და შუბი მიაქვს თან; მოახტება ხოლმე ცხენსა და შიგ შუა კამბეჩებში გადაერევა ხოლმე; რაც შეუძლიანთ გარბიან კამბეჩები და კრეკიც თან მისდევს. ცხენიდამ გადაახტება ხოლმე გაგიჟებულს კამბეჩსა და შუბით იმდენსა ჰხოცავს, რამდენსაც ისურვებს. ერთხელ ვნახე, კრეკი მიაჭენებდა ცხენსა, როგორც განრისხებული რამ გმირი იქითკენ, საიდამაც ჯოგის ფეხის ხმა და კამბეჩების ყროყინი მოისმოდა. მე მივსდიე, მაგრამ ვინ მიეწეოდა! ისე მიაფრენდა ცხენსა, როგორც ფრინველი.

როგორც იყო დავეწიე. მაგრამ ჯოგი აღარსადა სჩანდა და თვითონ გაჩერებული იყო, მშვიდობიანად დაჰყურებდა თავის მოკლულს შვიდს გარეულს კამბეჩს. როცა შინ მოვიდოდით, საშინელი ჭექა-ქუხილი ასტყდა, სეტყვიანი წვიმა მოგვივიდა.

კრეკი ჩვეულებრივ ტანთ-უცმელი იყო და იცინოდა, როცა სეტყვა მოხვდებოდა ხოლმე. ერთხელ ისე დაიჭექა, თითქო დედამიწას მეხი დაეცაო; მივუბრუნდი კრეკს დი ვუთხარი:

— დღეს კარგი საქმე არ დაგვემართება, კრეკ.

იმან დამშვიდებით მიპასუხა:

— კარგი ხმა აქვს „უდიდესს სულს“.

ვილსონს განცვიფრებით ვუგდებდი ყურს. ისე გამიტაცა იმისმა ნაამბობმა, როგორც ყმაწვილს კაცებს გაიტაცებს ხოლმე ძველთა გმირთა ამბების გაგონება.

ამასობაში ელეონორა შემოვიდა და ჩაის კეთება დაიწყო. მოკლე ჩითის კაბა ეცვა და თეთრი შალი ჰქონდა წამოსხმული. ისეთი უბრალო იყო და ამასთანავე ისეთი ამპარტავანი და ამაყი შეხედულობა ჰქონდა, რომ თვალი ვერ მოვაშორე. თითო ფინჯანი ჩაი გვითავაზა. ცოტა თაფლიცა და თვითონ კუთხეში დაჯდა და დაფიქრებით ბუხარს შეჰყურებდა.

— რამდენისამე თვეის წინად, განაგრძო ლაპარაკი ვილსონმა, კრეკები ებრძოდნენ ერთს სხვა ინდოელს ხალხს, რომელნიც რიცხვით კრეკებზედ ბევრად უმრავლესნი იყვნენ. კრეკების მოთავეს ორმოციოდე კაცი ახლდა და იმათ რიცხვში ეს ჩემი მეგობარი კრეკიც. როცა წინამძღოლმა მტრის ბანაკი დაინახა, ხმა მისცა თავის ამალას და მაშინ ჩემი მეგობარი კრეკი გაქანდა. ცხენი მტრის შიგ შუა გულ ბანაკში შეაგდო. ბრძოლა რომ შეიქნა და თოფის სროლა გაიმართა, ბანაკის ბოლოს მიაღწია კრეკმა, მტერი გარს შემოეხვია ყოველ მხრივ, მაგრამ ის მაინც გასაოცარის მამაცობით ებრძოდა. ერთი ბრძოლა არ გათავებულა ისე, რომ კრეკი თითის საჩვენებელ გმირად არ გამოსულიყო. მე მოგახსენეთ, რომ მტრის ზარ-დამცემია-მეთქი.

— კრეკს რად უძახიან, რატომ თავისი საკუთარი სახელი არა აქვს? ვკითხე მე.

— არავინ იცის, იმისი დედ-მამა ვინ იყო. ერთხელ კრეკებმა გზაზედ იპოვნეს ორის წლის ბავშვი და აიყვანეს, გაზარდეს და დაარქვეს სახელად კრეკი. უთუოთ დედ-მამას დაეკარგებოდა ალიაქოთის დროს; სხვა რომელისამე თემისა უნდა იყოს.

— მალე მოვა თქვენთან?

— მგონია, ხვალ უნდა მოვიდეს. დღეს დილით ტყეში ვნახე და მითხრა რომ კარგი ძერა მოვკალიო და, როცა ვსთხოვე, გამოსატენად მომეცი-მეთქი, დამპირდა, ხვალ მოვალ და მოგიტანო.

ელეონორას ჩაის კოვზი ეჭირა, ამ დროს გავარდა ხელიდამ და გაიხმაურა. მივიხედე და შევნიშნე, რომ ყმაწვილი ქალი სახეზე შეიცვალა; ადგა და გავიდა მეორე ოთახში.

— ელეონორა ჩუმი ქალია, ვსთქვი მე.

— ელეონორა ტყესა ჰგავს, მითხრა ვილსონმა: ტყე ჩუმია, მაგრამ საიდუმლოებით სავსეა.!

— ნაცნობები ჰყავს ვინმე?

— როგორ არა! მიპასუხა სიცილით ვილსონმა. გარეული თხა, შინაური ცხოველები, მტრედები, მე და ერთი მოხუცებული თავისი გამდელი— აი ელეონორას ნაცნობები!

— მაშ ჯერ ცხოვრებისა არა იცის-რა?

— მხოლოდ ის იცის, რაც ჩემგანა აქვს გაგონილი.

— ვილსონ, ჩვენ უკვდავნი ხომ არა ვართ. თქვენ რომ აღარ იქნებით, ობოლი ხომ გამოუცდელი იქნება და უპატრონო! ვილსონმა თავი გაიქნია:

— გათხოვება არ მინდაო, ამბობს, მაგრამ მე ამ სიტყვებს არაფრად ვაგდებ. როცა შეუყვარდება ვინმე, მაშინ ასე აღარ იტყვის. შეუძლებელია, რომ ჩემსა და ჩემის ცოლის ელეონორას შვილს არავინ შეუყვარდეს!

ვილსონმა ბუხარზედ მიმითითა. იქ ცეცხლს გუგუნი გაჰქონდა.

— აი როგორც აქ არის ცეცხლი გაძლიერებული, მითხრა ვილსონმა, ისე მე და ჩემს ცოლს ელეონორასა გვქონდა გაძლიერებული სიყვარული. ასეთები ვიყავით ჩვენ!

ელენე ლორთქიფანიძისა

(შემდეგი იქნება)

ლეპულებს, მეტადრე ვან, რომელსაც პარიჟელებმა დიდი შეწყალობა აღმოუჩინეს რინგოს თეატრის დაწვის შემდეგ.

პ. ყ—ნი

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

კვირას, მაისის 24-ს, დ. ახალ-სენაკს, ჩემდამი რწმუნებულს ნორმალურ სასწავლებლის დარბაზში, ქართულის სცენის მოყვარეთა მიერ იყო გამართული ქართული წარმოდგენა აქაურის საქალებო სკოლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს „ბაიყუში“, კომედია-ფარსი ორს მოქმედებად, ა. ცაგარლისა და ვოდევილი „ცოლი თუ გინდა, ეს არი“, ვ. აბაშიძისა. ამ საქმეში, ბებურიშვილისას, საქალებო სკოლის მზრუნველს, ყველაზედ მეტი შრომა ჰქონდა ნატვირთი. გარდა ამისა ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს: საზნაურო სკოლის მასწავლებელთ თავიანთის ცოლებით, ახალ-სენაკის სასწავლებელთა ზოგიერთა მასწავლებელმა და რამდენმამე აქ მცხოვრებელმა.

წარმოდგენამ, რამდენადაც პროვინციას შეეფერებოდა, ძალიან კარგად ჩაიარა და მსმენელნიც კმაყოფილნი დარჩნენ. საზოგადოება ისე ბევრი დაესწრო წარმოდგენას, რომ ტევა არ იყო. ბილეთები სულ გაიყიდა ას სამოცდა-თერთმეტის მანათისა და ხამის შაურისა (171 მ. 15 კ.) ამ ფულიდგან დაიხარჯა:

პარიკმახერის ქირა და კაცის გაგზავნა ქუთაისს .	14	„
დეპეშებზედ.	1	20
ფაეტონის ქირა ძველ სენაკიდგან ახალ სენაკამდე მოთამაშე ქალთა და კაცთათვის.	8	„
სცენის მოწყობაზედ . .	7	80
დარბაზის განათებაზედ .	4	35
მუშების ქირა და მოსამსახურეებს	9	50
სულ	44	85

წმინდა შამოსავალი ხარჯის გარდა დარჩა ას ოც-და-ექვსი მანათი და ოც-და-ათი კაპ. ეს ფული ჩამბარდა მე საქალებო სკოლის უსაჭიროესს საქმის დასახმარებლად და ამ სასწავლებელთანავე წიგნთ-საცავის გასამართავად. საზოგადოდ, ყველანი, ვინცკი ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო და დახმარება აღმოგვიჩინა, დიდის მადლობის ღირსნი არიან ამ კეთილის საქმის თანაგრძნობისათვის. აქ არ შემიძლიან განსაკუთრებით დიდი მადლობა არ გამოვუცხადო წინაშე საზოგადოებისა საქალებო სკოლის მზრუნველს ქალს ბ. ვ. ბ—სას, რომელმაც გარდა თვისის შრომისა, ოც მანათამდე თავის საკუთარი ფული დახარჯა ამ საქმისათვის.

ნორმალურ სასწ. ზედამხედველი
სპირიდონ ენუქიძე

გასართობი

დამნაშავე თაგვები. ამას წინად ვენის ერთს ვაჭარს ასამართლებდნენ თურმე სასამართლოში, რომ შენივე საცხოვრებლისათვის შენ წაგიკიდებია ცეცხლი და დაგიწვამსო. ბრალდებული სასამართლოს, საქმის გარჩევის შემდეგ, დამნაშავედ არ უცვნია და გაუმართლებია. დამნაშავეებად თაგვები აღმოჩენილან. ამ თაგვებს წუმწუმა უპოვნიათ უუთით, დაუწყვიათ წუმწუმის თავების ღრღნვა, ამის გამო წუმწუმა ანთებულა და ცეცხლი მოჰკიდებია წუმწუმას ახლო მდებარე ნივთებს; ცეცხლი გაძლიერებულა და თვითონ ეს თაგვებიც შიგ ამომწვარან. ახლა როგორ გაიგეს, რომ თაგვების მიზეზით გაჩნდა ცეცხლიო? იკითხავს გაოცებული მკითხველი. სულ უბრალოდ: კბილები გაუსინჯეს თაგვებს და კბილებზედ ეტყობოდათ, რომ თაგვებს ფოსფორი ეღრღნათ.

* *

ახირებული საჩივარი. ლონდონის ერთს სასამართლოს ამას წინად ახირებული საჩივარი გაურჩევია ერთის შეძლებულის კაცისა. ამ შეძლებულს კაცს საჩივარი შეუტანია თავის მზარეულ-ქალზე, რომ გლახას ამას წინად ერთი ჯამი წვნიანი საჭმელი აჭამა და ამის ნება-კი არა ჰქონდა, რადგან საჭმელი მე მეკუთვნისო. მოსამართლეს შეუწყნარებია ეს საჩივარი და დამნაშავე მზარეულ-ქალისათვის სამის თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია. ბრალდებულს გამოუცხადებია, რომ მე ჩემს ბრალს არ დავფარავ, ხშირად მიმიწოდებია გლახისა და მათხოვარისათვის თითო ჯამი წვნიანი საჭმელიო. სასამართლოს გარდაწყვეტილებაზედ, რომ სამის თვით უნდა იქმნეს დაპატიმრებული მზარეული-ქალიო, ხალხს დიდი უკმაყოფილება გამოუცხადებია, დიდად აღშფოთებულა და ამის გამო მოსამართლე იძულებულ გამხდარა ამ საქმის გასამართლება შეეჩერებინა თურმე და სხვა დროისათვის გადადო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ სიმართლისა და სისწორე სიმრუდის გამოსარკვევად ადგილი უბოძოთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს წერილს.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ყოველს კაცს, რაც უნდა ბევრი ხელობა იცოდეს, ერთი ამ ხელობათაგანი უფრო უყვარს, უფრო გულის მახლობლად მიაჩნია. ამ მისის საყვარელ ხელობის დამცირება და შეურაცხყოფა მისთვის სიკვდილია. წინად ეს ჩემი საყვარელი საგანიც, ფალავნობაც, ხელობა იყო. მართალია, მაშინ მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, სხვა გზაზედ მიდიოდა და დღეს-კი უფრო დაწვრილმანდა, ანგარიშის გზას დაადგა, მაგრამ რა გაეწყობა!. აბა ერთი მიბრძანეთ, სხვა რომელი საგანია ამ ჩვენს ანგარიშის საუკუნეში, რომ არ დაწვრილმანებულიყო და ანგარიშის გზას არ დასდგომოდა!! დროებამ ყველაფერს თავის მსგავსი ფერი დასდვა... ამის გასაჯვა და გაზომვა ჩემი საქმე არ არის... მხოლოდ აი რა უნდა მოგახსენოთ: შარშან მე და მეგრელი ესებუა ერთმანეთს დავეჭიდენით. ჩემის ფიქრით, მე ვსძლიე იგი. მაგრამ ზოგიერთებმა ხმები გაავრცელეს, რომ ვითამ მე გავლახულვიყავ. უსაფუძვლო იქნება, რომ კაცმა დაიჯეროს იმისთანა კაცების სიტყვა, რომელთაც ფალავნობისა რა ესმით-რა. ჩვენდა სამწუხაროდ, იმ ჭიდილში არ დასწრებია არც ერთი ხეირიანი და გამოჩენილი ფალავანი, რომლის მსჯელობა და გადაწყვეტილება დასაჯერებელი ყოფილიყოს. ასე რომ ჭიდილი გაუთავებელი და გადაუწყვეტელი დარჩა.

თქვენის გაზეთის საშუალებით მე ვიწვევ ესებუას და ვფიქრობ, რომ ზნეობრივად ვალდებულია დათანხმდეს ამ გამოწვევაზე; მით უმეტეს, რომ ჭიდილი დანიშნულია სამადლო საქმისათვის და არა კერძო ანგარიშებისათვის.

კულა გლდანელი

დეპეშა

· 2 ივნისს

პეტერბურგი. გაიგო თუ არა ხელმწიფე იმპერატორმა, რა უბედურებაც ეწვია ვერნის ქალაქსა და ამ ქალაქის არე-მარესა, მაშინვე ინება და 25,000 მანათი შესწირა თავის საკუთარის ფულებიდამ დაზარალებულთა სასარგებლოდ.

„Новое Время“ გვაუწყებს, რომ მოქალაქე გავრილოვი, რომელსაც უნდოდა მოეკლა ასტარხანის გუბერნატორი ცეიმერნი, სამხედრო სამართალში იქმნა მიცემულიო.

ბაქო. იარმუკის ბაირაღი ჩამოშვებულ იქმნა. ვაჭრები, ვინც-კი მოვიდა იარმუკაზე, კმაყოფილნი არიან: უფრო მეტს ითხოვდნენ სასყიდლად, ვიდრე მოტანილი იყოვო,

ვერნი. 1-ს ივნისს კვლავ იყო მიწის-ძვრა. მცხოვრებელთ არც ერთს არ უნდა დაბრუნდეს თავის სახლში და ისევ კარვებსა და ალაჩუღებში სცხოვრობენ.

ბელგრადი. შესდგა ახალი სამინისტრო რისჩის მეთაურობითა.

ლეიპციგი. დაიწყო გარჩევა იმ ელზას-ლოტარინგელების საქმისა რომელთაც სახელმწიფოს ღალატი დაჰბრალდათ. ეს სახელმწიფოს ღალატი იმაში მდგომარეობდა, რომ ბრალდებულნი ეკუთვნოდნენ პატრიოტების საზოგადოებას. ბრალდებულნი გამოტყდნენ, რომ ჩვენ, როგორც ფრანგებს, შევქონდა ფული პატრიოტების საზოგადოების სასარგებლოდაო.

ლონდონი. როგორც ოფიციალურის ცნობებიდამა სჩანს, ავღანისტანის საქმეები ამ ბოლოს დროს საიმისოდ არ შეცვლილა. ემირის ჯარებს ახალი ომები არა ჰქონიათ აჯანყებულებთან მაინც შიშობენ, რომ გილზაების პოლკები არ აჯანყდნენო.

ბელგრადი. ახალის სამინისტროს პროგრამმა შემდეგია: გადისინჯოს კონსტიტუციაო, ყველა დიდ სახელმწიფოებთან მეგობრობა ვიქონიოთო, სახელმწიფოდ სახარჯო ფული გამოვიზოგოთო, კეთილ-სვინდისიერად შესრულებულ იქმნას სახელმწიფოს-მიერ კისრად-დებული ვალდებულებანიო.

პეტერბურგის ბირჟა, 29-ს მაისს

ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	გარიგებისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ
ხუთ-მანათიანი ოქრო	9 9	— ›	— ›
ტამოჟნის კუპონები . .	— ›	— ›	175³/₄
მანათიანი ვერცხლის ფული, ...		— ›	1 30
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— »	— ›	267³/₄
— მეორისა	— ›	— ›	245¹/₄
გირაოსნ. ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. . .	— »	— ›	— ›
ქუთაისის ბანკისა . . .	— ›	— ›	— ›
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ›	— ›	— ›

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

თიბათვე 30 დღით არის

3 დღე ოთხშაბათი. წმ. ლუკილიანე, წმ. ქალწ. მოწ. პავლასი. სომეხთა ნახატონაქი. კათოლ. კლოტილდასი, ადელიისა და კლავდიისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—36.

4 დღე ხუთშაბათი. წმ. მიტროფანისა. სომეხ. წმ. იოანე წინამორბედისა და ათანაგინე ეპისკოპ. კათოლიკ. დღესასწაული ხორცისა და სისხლისა იესო ქრისტესი. მუსულ მე-25 რიცხვი რამაზანის თვისა, მე-25 დღე რამაზანის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—37. მთვარე 26 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3 ›
› 2 ›	2¹/₂ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3¹/₂ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	› ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხის.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი. . . .	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხასა.	› ›
› 2 ›	› ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმს სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

კერძო განცხადებანი

სასწავლებელი და პანსიონი
ბბ. იოსელიანისა და მრევლიშვილისა
ნიკოლაევის ქუჩა, სახლი № 21.

მთელ ზაფხულს სწავლა იქნება. ამზადებენ ბავშვებს ყოველ საშუალო სასწავლებლისათვის და აგრეთვე სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის. რეპეტიციები ყოველის საგნებიდამ გიმნაზიის მოწაფეებისათვის.

(3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი მიხეილ ნასიძისა:

ქართველი მწერლები
II
დავით გურამიშვილი
ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—6)

თამბაქო და პაპიროსები
დონის როსტოველ მეფაბრიკეთა
ძმათა ასლანიდებისა.

მაღაზია ყალამქაროვის სახლში, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გაჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გაემართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბბ-ნთ გაჭართ იმდენი დავუთმობათ თუთუნის ხყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—20)

ქალაქ ბათუმში
გაგზავლის მახლობლად ახლად გაკეთებული მებლიროვანი ოთახები
„ვენეცია“

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში სიძვირე არის, მაქვს №№-ბი სუფთად მოწყობილი დღეში 50 კაპეიკიდამ 1¹/₂ მანათამდე. თთვეობით 10 მანათიდამ 30 მანათამდის. საჭმელებს ვაკეთებინებ, ვინც რას ისურვებს. უმორჩილესად ვსთხოვ საზოგადოებას ყურადღება მიაქციონ.

ოთახების პატრონი იოანე ლოლუა
(10—8)

Дозв. цен. Тиф. 2 iюня, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე